




დღე

№ 239
(12 309)


10 ოქტომბერი ოთხშაბათი 2007
გამომცემი 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი



ივრო 2008. იტალია-საქართველო

დღეიდან სრულად



დავით
ჭიკვაძე
გენერალ-მაიორი

ნაპრებისთვის გუშინდელი დღეც საკმაოდ საკმაო იყო და პირველი დღისგან განსხვავებით უფრო მეტი ტრავმისა და ინფორმაციის თვალსაზრისით. ნაკრებს დღეს მალხაზ ასათიანი შეუერთდა. კლავს ტოპილერის გადამწვეტილებით, ნაშუადღევს, ქალაქში გასურნება დაიგეგმა, რომელიც თითქმის საათს გაგრძელდა. გუნდმა სასტუმროს ახლო მიდამოები დაათვალიერა. მწვრთნელს დრო არ დაუკარგავს და თითქმის ყველა ფეხბურთელს გაესაუბრა. ფეხბურთელები ერთმანეთში საუბრობდნენ, რაც ტოპილერის თქმით, ჩინებული ფაქტორია გუნდური სულის ჩამოსაყალიბებლად. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ნაკრების ახალი მოთამაშეები უფრო უკეთ დაუახლოვდნენ სტაჟიან წევრებს. გუშინ ნაკრებმა საკმაოდ ცუდ მინდორზე ივარჯიშა და კლავს ტოპილერმაც მისი შეცვლა მოითხოვა. საღამოს 18 საათზე გუნდი უკვე სხვა სტადიონზე წავიდა სავარჯიშოდ. მართალია ეს მოედანი უფრო შორსაა სასტუმროდან, მაგრამ გაზონი გაცილებით უკეთესი აქვს.

დავით ბოლქვაძე: "დებოუტი ბაქოში მქონდა. მართალია, ეს უკვე ამხანაგური კი არა, შესარჩევი ციკლის მატჩია, თანაც მსოფლიო ჩემპიონთან, მაგრამ არანაირად არ ვნერვიულობ. იტალიის ნაკრების წინააღმდეგ თუ მომიწევს თამაში, ამაზე მეტი მოტივაცია რა უნდა იყოს? მეფერა, ღირსეულად ვითამაშებთ. იტალიელებიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან".
დიმიტრი ტატანაშვილი: "ორი თამაში და ერთი გოლი, ასეთია ჩემი მაჩვენებელი. იქნება მესამე თამაში და მეორე გოლი? გადაჭრით ვერ გეტყვით გოლს გავიტან-თქო, მაგრამ იმას კი

გაპირდებით, რომ ცდას არ დავაკლებ".
გრიგოლ დოლიძე: "შზაღბა კარგად მიდის, გუნდში საბრძოლო განწყობაა. გავალთ და ყველაფერს გავაკეთებთ, სასურველი შედეგის მისაღწევად".
ალექსანდრე კვახაძე: "მეტოქე ძლიერია, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი გუნდი ღირსეულად წარმოჩნდეს".
სალამოს ნაკრებს "ვენეტსპილის" მცველი ზურაბ მენთეშაშვილი შეუერთდა, რომელიც სასტუმროში იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა მოიყვანა.

ბადრი პატარკაძის უფლებამოსილება შეუჩერეს

ჩვენი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამომდინარე ისეთ არაპოლიტიკურ სფეროსაც გადასწვდა, როგორცაა ოლიმპიური მოძრაობა. გუშინ, 14 საათზე, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, სეოკ-ის აღმასკომის წევრის, პარლამენტარ კახა გენაძის ინიციატივით აღმასკომის წევრებს უხმეს. განიხილეს სეოკ-ის პრეზიდენტ ბადრი პატარკაძის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი. როგორც სხდომის შემდეგ გაცხადდა, ხმათა საკმაო რაოდენობით აღმასკომმა დადებითი გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა არც იმას უარყოფენ, რომ კითხვის ნიშნები დარჩა.
აღმასკომის ამავე სხდომაზე დადგინდა სეოკ-ის რეგარეშე ყრილობის ჩატარების თარიღი - 29 ოქტომბერი. სეოკ-ის პრეზიდენტის საკითხი საბოლოოდ სწორედ ამ ყრილობაზე გადაწყდება.
ყრილობამდე სეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება ვიცე-პრეზიდენტ გოგი თოფაძეს დაევალა.

პრცლად გუშინდელ აღმასკომზე 13

მალხაზ ასათიანი ნაკრებს ვარჯიშამდე ორიოდე საათით ადრე შეუერთდა და მზაფორმით დადგინდა დასვენების საშუალება მიეცა. თუმცა ის სასტუმროში არ დარჩენილა, გუნდთან ერთად იყო და წვრთნას გვერდიდან ადევნებდა თვალს.

მოედნის ირგვლივ ნელი სირბილისა და მოთელვის შემდეგ გუნდი სამ ნაწილად გაიყო. სამივე მეკარე მამუკა აბუსერიძემ ჩაიბარა და მათ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ტვირთავდა. მოთამაშეებს კი რალფ მინეა, ბესიკ ფრიდონაშვილი და ზაურ სვანაძე (გუშინ შემოგვიერთდა) ავარჯიშებდნენ. დროდადრო ამ სამ მწვრთნელს კლავს ტოპილერი აძლევდა მითითებებს.
ვარჯიშის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელს კომენტარი ვთხოვეთ:
ლევან მჭედლიძე: "კარგად ვიცი იტალიელებს სამი ქულა უნდათ და მოგებისთვის კბილებით იბრძოლებენ, მაგრამ ჩვენ აქ ტყუილად არ ჩამოვსულვართ. ჩვენ მოსაგებად გავალთ მოედანზე და კარგ თამაშსაც ვაჩვენებთ".



კანკავა, კვირკველია და ჯაკობია მოცალეობის თამაშს



ვარჯიშზე კარგია, მაგრამ მთავარი თამაშში ავტორის ფოტოები



ინტარვიუ კლავს ტოპილერთან გოგუა გამოვიძახე, მამბრამ ვერ ჩამოვიღა

საქართველოს ნაკრების თავკაც კლავს ტოპილერს გუშინ საღამოს სასტუმროში დაგვიკავშირდით. ტოპიმ, ტრადიციულად, ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გაგვცა, რომელთაგან ერთი საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. მოახლოებული მატჩების გარდა, მას აქეთურ-იქითურზე ვესაუბრეთ...
- პირ ტოპილერი, შეკრების დანაშაულებიდან ორი დღე გავიდა და საინტერესოა, რამდენად კმაყოფილი ხართ ფეხბურთელების მომზადებით?
- საერთო ჯამში კმაყოფილი ვერ

ვიქნები, რადგან კლავისა და კობიაშვილის შემდეგ, მუჯირი და ლვინიანიძეც დაგვაკლდნენ. მათი არყოფნა ჩვენთვის სერიოზული დანაკლისია. მოკლედ, ნამყვანი მოთამაშეების ტრავმებს მაინც ვერ გადავურჩით. დანარჩენები კი სრულ მზადყოფნაში არიან. დღეს მენტეშაშვილსაც მცირე პრობლემა შეექმნა. საბედნიეროდ, მისი თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა. ყველანი მოტივირებულნი არიან - გუნდში საბრძოლო განწყობაა.
- თქვენ მიერ გამოძახებულ ფეხბურთელთა სია ბევრ კითხვას ბადებს. მაგალითად, მაკარიძე "დინამო 2-ის"

ძირითად შემადგენლობაშიც კი ვერ ხვდება, თედორაძე კი "მერანის" სათადარიგო მეკარეა. მიუხედავად ამისა, თქვენ ამ ორ გოლიკიპერს მაინც ნდობას უცხადებთ...
- რაკი ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში ვიძახებ, თანაც ისეთი მნიშვნელოვანი შეხვედრებისთვის, როგორც იტალიასთან და შოტლანდიასთან მატჩებია, ე.ი. მათ ვენდობი. მიმართა, რომ მაკარიძე ისეთივე ტალანტია, როგორც მაგალითად მჭედლიძე ან ყენია. მას უდიდესი მომავალი აქვს და მინდა, რომ ეროვნულ გუნდს აქედანვე შევაჩვიო.



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინებთ კომპანია ყაზბეგი



ინტერვიუ კახა ალადაშვილთან

ბოპეიოლერს მენეჯერობა არ შემოუთავაზებია

კახა ალადაშვილისთვის 2007 წელი შავი და თეთრი აღმოჩნდა. როგორც იქნა, უკრაინაში ჩასვლიდან მესამე წელს მაინც აღმოაჩინა სასურველი კლუბი და მოხდა მოულოდნელი რამ - ბიჭი ათამაშდა, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში ახლა ჩაურაზეს კარი. "კახა ალადაშვილისთვის წლებადელი სეზონი გამორჩეულია. ის საუკეთესო სახონს ატარებს", - ეს 8 ოქტომბრის უკრაინული "სპორტ-ექსპრესია". ნაიკითხეთ და დარწმუნდებით, რომ კახა ალადაშვილმა უკრაინას აზრი შეაცვლევინა. ფეხბურთელი, რომელსაც ადრე სტატისტიკაში თუ ასახელებდნენ, ახლა მატჩის მიმოხილვაში დიდ ყურადღებას აქცევენ... ალადაშვილს გუშინ დავიკავშირდით უკრაინაში.

- კიევის "დინამოში" დაბრუნებას გამორიცხა? იქნებ გუნდის ქართველმა მენეჯერმა რეზო ჭოხონელიძემ მოგაქცია ყურადღება?

- დაბრუნების სურვილი არ მაქვს. ახლა კიევი მაგარი არეულობაა. ჭოხონელიძის იმედიც არ მაქვს. ის გუნდში ნაციონალიზმის მიხედვით მოთამაშეს არ აიყვანს და მეც დიდი სურვილი არ გამაჩნია. კიევის "დინამოსკენ" გული არ მიმინევს.

მე შანსი არც "დნებრო" მომცეს და არც კიევის "დინამოში". დნებროპეტროვსკში ნაკრების კაცი პყავდათ ჩემს პოზიციაზე და რომელ შანსზე იყო ლაპარაკი. არადა, მაშინ ნაღდად არ ვიყავი მასზე ნაკლებ ფორმაში. კიევის "დინამოში" კი, რა უნდოდათ, დღემდე ვერ გამიგია.

- კიეველთა ვიცე-პრეზიდენტმა ლეონიდ ბურიაკმა გვითხრა, რომ ქართველები გუნდის სქემას ვერ მოერგნენ, ტაქტიკურ განათლებასა და სათამაშო დისციპლინაში მოიკოჭლებდნენო.

- დღემდე არ ვიცოდი, სკამზე ჯდომისას ფეხბურთელის ტაქტიკური განსწავლულობა თუ ჩანდა. ახლა გავითვალისწინებ. რეალურად იქ ჩვენთვის შანსი საერთოდ არ მოუციათ. მიკვირს, ბურიაკს ასე რომ უთქვამს. მან სხვებზე არანაკლებ იცის, რაც ხდებოდა გუნდში. ერთადერთხელ მათამაშეს ძირითადში და ისიც ბოლოსწინა ტურში ორი წლის წინათ, როდესაც ყველაფერი გარკვეული იყო. ეს თუ შანსია, არც ეს ვიცოდი. შანსია, როდესაც 4-5 თამაშს მაინც ჩაატარებ და მერე შეგაფასებენ პლუს-მინუსებით.

ახლა ფიზიკურად ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. ასეთი მომზადებული არასდროს ვყოფილვარ.



კახა ალადაშვილი კლოდ მაკელესს წინააღმდეგ

- კახა, ეტყობა, უფრო დიდ "ზაკარპატივ" საშენო გუნდია. უკრაინაში სხვაგან ასე არ ვითამაშობია...

- ასეცაა. ძალიან კარგად მიმიღეს, ჩემი იმედი ჰქონდათ და ისე მტრულად და უნდობლობით არ მიყურებდნენ, როგორც კიევი. ამაზე იმედი და ნაღდად უკვე ორჯერ მოვხვედი სიმბოლურში. ასეთი გუნდიდან ეს პატარა საქმე არაა.

თუმცა მაინც ვერ ვიტყვი, რომ "ზაკარპატივ" ჩემი გუნდია. კი, უკრაინის უმაღლესი ლიგაა, სულ ძირითადში მათამაშებენ და ამათი მაღლიერი ვარ. სხვანაირად ფორმას ვერც აღვიდგენდი. თუმცა მეორე მხარეცაა - 24 წლის ვარ და სულ "ზაკარპატივში" ვერ დავრჩები. გაცილებით მეტი ამბიციაც მაქვს და დავრწმუნდი, რომ თამაში შემიძლია კიდევ. აქ ექვსი თვით ვარ და მერე რა მოხდება, ნარმოდგენა არ მაქვს. არადა, უფრო დიდ მართლაც კარგად ნამივიდა საქმე.

- ნაკრების თემა, ვიცი, შენთვის მტკივნეულია. საფრანგეთთან ჩაგდებული მატჩის შემდეგ ტოპმოლოერი აღარ გწყალობს. უთამაშებლობის დროს ეს გასაგები იყო. ახლა სათამაშო პრაქტიკაც გაქვს და კარგი პრესაც. ტოპი მაინც შეუვალა. ვითომ, ხაზი საფრანგეთის შემდეგ გადაგისვა?

- ნარმოდგენა არ მაქვს და არც მინდა დავიჯერო, რომ ნაკრების კარგი დამიკეტა. აბა, რა აზრი ექნება ჩემს თამაშს? ყველა ფეხბურთელის ოცნება ნაკრებში მოხვედრაა, ჩავარდნისგან კი არაფინაა დაზღვეული.

მეც ვფიქრობდი, თუკი ვითამაშებდი, გუნდში დამაბრუნებდა. კიევის "დუბლუბში" ჩარჩენილს მისი მესმოდა, მაგრამ წაღვეს ყველაფერი შეიცვალა და ახლა აღარ ვიცი, უნდობლობა რას მივაწერო. ცხოვრებაში ხელი არასდროს ჩა

მიქნევია, მაგრამ ნაკრებში ჩემთვის ცუდი ვითარებაა. იქნებ, ამასაც მოველოს.

- მოდი გულახდილად ვისაუბროთ. ამბობენ, რომ ტოპმოლოერისგან პრობლემა მენეჯერების, მამუკა ჯუღელისა და ახრიკ ცვეიბას მოთამაშეებს შეექმნათ - შენ, მარცვალაძეს, გოგუას, აშვეთიას. იქნებ, შემთხვევითი ამბავია?

- რა ვიცი, მამუკა ჯუღელი და ახრიკ ცვეიბა იყვნენ ჩემი მენეჯერები ადრეც, როდესაც ტოპმოლოერი მინვევდა.

- და ურთიერთობაში მას შემდეგ არაფერი შეიცვალა?

- არა მგონია, მენეჯერობის ფაქტორი მუშაობდეს.

- ტოპმოლოერზე ათას ჭორებს ყვებიან, თითქოს მოთამაშეებს მენეჯერობას და კლუბში გადაყვანას თავად სთავაზობს. რეალურად ასეა?

- ჩემთვის ნაღდად არაფერი შემოუთავაზებია და ცოდვას ვერ დავიდებ.

- "ზაკარპატივს" შეხვედრების განხილვას ყოველთვის ვეცნობი და ოთარ მარცვალაძეს სულ ნახევარმცველად ასახელებენ. ეს შეცდომაა თუ ოთარი ნახევარდაცვაში დახივს?

- ყოფილმა მწვრთნელმა უცნაური გადანყვეტილება მიიღო და ოთარი ნახევარდაცვაში დააყენა, ხან ფლანგზეა, ხან საყრდენად.

- მარცვალაძე საყრდენი ნახევარმცველია?

- ჰო, ასეა, გვეცინება ორივეს, მაგრამ ოლონდ ვითამაშოთ და სხვა რა გზაა. ამის გამოა, ბევრი რომ არ გააქვს. ჩვენთან მხოლოდ ერთი თავდამსხმელია. ისე, სიმართლე ითქვას, ორივეს სხვაგან გვინდა გადასვლა. აქაურობასთან შეგუება გვიჭირს.

მერაბ გამულაშვილი

მეტოქე. შოტლანდია



ფრანგებთან გოლის გამტანი გარი კოლდუელი (8) საქართველოსთან ვერ ითამაშებს

მაკლიზს ორი სელფიკელი გამოაკლდა

შოტლანდიის ეროვნული გუნდი საქართველოს თბილისში 17 ოქტომბერს გაეჯიბრება, მანამდე კი 13 ოქტომბერს უკრაინას უმასპინძლებს. სქოთთა მწვრთნელმა ალექს მაკლიზმა ევრომესარჩვევის ამ მატჩებისთვის გამოძახებულია სია რამდენიმე დღის წინათ კი გამოამზეურა, მაგრამ იმ სიას ორი გამოაკლდა.

"სელტიკის" ნახევარმცველი პოლ ჰარტილი და მცველი გარი კოლდუელი ისე დაშავდნენ, უკრაინა-საქართველოსთან ვერ ითამაშებენ. ორივე ერთობ საკვანძო ფიგურაა შოტლანდიის ნაკრებისთვის. კოლდუელი კი ის კაცია, ამ შესარჩევში საფრანგეთს გლაზგოში რომ გაუტანა სამქულიანი გოლი.

მაკლიზის განკარგულებაში ესენი დარჩნენ:

მიკარაჟი: კრეიგ გორდონი (სანდერლენდი), დევიდ მარშალი (ნორვიჩი), ალან მაკრეგორი (რეინჯერსი);

მცველები: გრემ ალექსანდერი (ბერნლი), კრისტინ დელი (ვესტ ჰემი), ალან პატონი (რეინჯერსი), ჯეი მაკველი (დერბი), სტეფან მაკმანუსი (სელტიკი), გარი ნეისმიტი (შეფილდ უნიტედი), დევიდ ვეირი (რეინჯერსი);

ნახევარმცველები: სქოთ ბრაუნი

(სელტიკი), ბარი ფერგიუსონი (რეინჯერსი), ლი მაკალაჰი (რეინჯერსი), სტეფან პირსონი (დერბი), ბარი რობსონი (დანდი იუნაიტედი), გარი ტლი (დერბი);
თამბაშისმკვლელები: კრეიგ ბიტი (ვესტ ბრომვიჩი), კრის ბოიდი (რეინჯერსი), ჯეიმს მაკფადენი (ვევრტონი), შონ მელოუნი (ასტონ ვილა), კენი მილერი (დერბი), გარი ოკონორი (ბირმინგემი).

ქართულ-სქოთურ პირველ დაპირისპირებაში გლაზგოს "შემდენ პარკზე" შოტლანდიამ იმარჯვა 2:1. მაშინ მაკლიზის განკარგულებაში არ იყო ჯეიმს მაკფადენი, ვინაც ფრანგებს საფრანგეთში გაუტანა გამარჯვების გოლი და ამ დროისთვის ალბათ სქოთთა საუკეთესო ფორვარდია.

სათამაშო პრაქტიკის არქონე ფეხბურთელების გამოძახება კი მაკლიზსაც ჰყვარებია - კარგა ხანია, კრის ბოიდს "რეინჯერსის" თერთმეტეულში მოხვედრა უჭირს, მაგრამ მაკლიზმა მას მაინც უხმო ნაკრებში. სხვათაშორის, გლაზგოში გიორგი ლომაიას პირველი გოლი სწორედ ბოიდა გაუტანა.

დავით თაყაიშვილი



უეფას თასი. ჯგუფური ეტაპის წილისყრა და კალენდარი

ჩემი ვეფი

Table with 5 columns (A, C, E, G, I) and 5 rows (I, II, III, IV, V) listing football teams and their group assignments.



ფერნანდო ორსი

ლივორნო აქი არ გავაგდებო?! სპინელი ორსი მიხვდა დაითხოვა


“ლივორნოს” თავკაცი ფერნანდო ორსი პირველია სერია A-ს მწვრთნელის შორის, რომელიც თანამდებობას გამოეთხოვა. არადა, ორიოდ დღით ადრე ტოსკანური კლუბის პრეზიდენტი ადლო სპინელი ლამის ბიბლიაზე იფიცებოდა, მსგავსი არაფერი იგეგმებო. აი, მისი კომენტარი: “ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც ორსი შეიძლება გავათავისუფლოთ. ის ბევრს შრომობს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა სიტუაცია გამოსწორდეს. იმედი გვაქვს, რომ ასე იქნება.”

ატლეთიკო რიუსი დაიხვეწა. საგაგალონიო!

როგორც გაირკვა, სოსე ანტონიო მთავარ მწვრთნელს სერიოზული შეურაცხყოფა მიაყენა...

“ბარსელონისა” და “ატლეთიკოს” დაპირისპირების 55-ე წუთი, ხავიერ აგირემ ხოსე ანტონიო რიესი მაქსი როდრიგესით შეცვალა. მექსიკელი სპეციალისტის გადაწყვეტილებამ რიესი ძალიან აღაშფოთა და მოედანი უფმური გამომეტყველებით დატოვა. ამასთან, ფეხბურთელი თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. “დიაროო მარკას” კორესპონდენტები მიხედნენ, რომ ხოსე ანტონიო აგირეს აგინებდა, თუმცა ამას ჯერ კიდევ დამტკიცება სჭირდებოდა. მადრიდელმა ჟურნალისტებმა სიმართლის დადგენის მიზნით, სპეციალისტები დაიქირავეს, რომლებიც ტურნის მოძრაობით წინადადების შინაარსს ადგენენ. აღსანიშნავია, რომ “დიაროო მარკას” რედაქციამ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სამი ჯგუფი მიიწვია. შედეგი კი აბსოლუტურად ერთნაირია. რიესსმა აგირეს მისამართით განაცხადა, როგორ მომამბეზრა თავი ამ ბოზის ნაშობმაო. ბუნებრივია, აღნიშნულმა ინფორმაციამ “ატლეთიკოს” ხელმძღვანელობისა და უშუალოდ აგირეს ყურამდეც მიაღწია. მადრიდული კლუბის მესვეურებმა არ დააბანეს და ხსენებული საქმის სპეციალისტები თავდაც დაიქირავეს. რიესი მეოთხე კვლევამაც იდენტიური შედეგი გამოიღო. ახლა უკვე ყველა დარწმუნებულია, რომ ანდალუსიელმა ნახევარმცველმა მთავარ მწვრთნელს უსერიოზულესი შეურაცხყოფა მიაყენა. ენრიკე სერესოს ინიციატივით საგანგებო კომისია შეიქმნა. პრეზიდენტის მიერ ჩამოყალიბებული დროებითი ორგანო რიესის დაიბარებს და ახსნა-განმარტებებს მოსთხოვს. ფეხბურთელმა უნდა განმარტოს, რატომ მიაყენა შეურაცხყოფა აგირეს. გარდა ამისა, მან ბოდიშიც უნდა მოიხადოს. განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, კომისია გადაწყვეტს, რამდენად მკაცრად დასაჯონ ხოსე ანტონიო. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასჯელს ვერ აცდება, თუმცა რამდენად მკაცრი იქნება ის ექსკლუზიურად ფეხბურთელზე დამოკიდებული. თუ რიესი ყველაფერს ალიარებს და ბოდიშს მოიხდის, მხოლოდ ხელფასის ნაწილს დაუქვითავენ. ხოლო, თუ დანაშაულს არ აღიარებს და ბოდიშზეც უარს განაცხადებს, მთელი თვის ხელფასს ჩამოაჭრიან და დამატებით ხუთ შეხვედრაში აუკრძალავენ მონაწილეობას.

სევილიელს უნდა ახსოვდეს, რომ “ატლეთიკოს” ხელმძღვანელები ამგვარი ფაქტების მიმართ ყოველთვის შეწყნარებლები იყვნენ. აი, რას ამბობს პრეზიდენტი სერესო: “ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ გუნდის რომელიმე წევრს, მით უმეტეს, მთავარ მწვრთნელს ქუჩური ტერმინებით ესაუბრონ. ფეხბურ-



ხოსე ანტონიო რიესის უსამოვნებები ელის

თელი რაოდენ დაფასებული და მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, ასეთ სიბილწეს არ ვაპატიებთ. ყველას გახსოვთ, რა სამაგალითოდ დავსაჯეთ მანიშე. სხვათა შორის, ის დისციპლინის დარღვევის გამო დავსაჯეთ. ამ შემთხვევაში კი გავუგონარ სიტყვიერ შეურაცხყოფასთან გვაქვს საქმე. მოკლედ, წინასწარ შემიძლია მოგახსენოთ, რომ შეუწყნარებლები ვიქნებით.”

მხილვა როსი თადლითობდა...

“ლაციოს” მწვრთნელი დელიო როსი, თურმე, თამაშის ჩაწყობას ცდილობდა. 2006 წლის აპრილში, ის დაჟინებით სთხოვდა კლუბის პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს დაკავშირებოდა “ლეჩეს” ოფიციალურ პირებს და მეტოქის ტაქტიკურ მონახაზზე საიდუმლო ინფორმაცია მიეღო, რაც მას თამაშის სასურველი შედეგით დასრულებაში დაეხმარებოდა. ეს ამბავი იტალიის ფე-

ხბურთის ფედერაციამ ოფიციალური განცხადებით გახმაურა. იმავე განცხადებაში ხაზგასმულია, რომ როსის მცდელობა უმედეგად დასრულდა. ნათელია, რომ ეს ინფორმაცია ყბადღეობის სატელეფონო მოსმენების შედეგია, იმ მოსმენებისა, რომელმაც 2006 წლის გაზაფხულზე იტალია შოკში ჩააგდო. სწორედ ამ მოვლენებს ემსხვერპლა მაშინ “ლაციოს” 30 ქულა, რის


გამოც რომაული კლუბი მე-16 ადგილზე აღმოჩნდა. “ლეჩესთან” ის თამაში კი “ბიანკოჩელესტეს” გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისია მალე დაადგენს, თუ რა სახის სასჯელი ეკუთვნის “ლაციოს” მწვრთნელს, რომელიც განაჩენის გამოტანამდე, შეიძლება, სამსახურს დაემშვიდობოს.



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ნარეობიდან

ქვეყნული ტელევიზია

კალთბურთი



ზაზა ფაჩულა

აბლანგას პირველი მოგება

ზაზა ფაჩულამ NBA-ს საგამოფენო მატჩების სერია ორლანდოში გახსნა - "ატლანტა ჰოქსმა" "ორლანდო მეგჯიქი" სტუმრად 94:93 დაამარცხა. ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა, 19 წუთი ითამაშა, 7 ქულა (8-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა.

"მეჯიქთან" მატჩმა რამდენიმე საინტერესო დეტალი გვიჩვენა. ზაზას შემცველად 2007 წლის დრაფტის მე-3 ნომერი ელ ჰარფორდი თამაშობდა. მან 24 წუთში 9 ქულა და 7 მოხსნა ჩაიწერა. მომავალ სეზონში "ატლანტას" ცენტრის პოზიციას სწორედ ზაზა-პარფორდის დუეტი გაამარჯვებს.

პირველმა საგამოფენო მატჩმა გვიჩვენა, რომ "ჰოქსი" მომავალ ჩემპიონატში აუტსაიდერობას არ შეეგუება. ახალგაზრდა ატლანტელეზმა თითქმის ნაგებული მატჩი ბოლო წუთებზე დამაჯერებელი თამაშით შემოატრიალეს: საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე მასპინძლები 6 ქულის სხვაობით იგებდნენ - 89:83, რის შემდეგაც "ჰოქსმა" 6:0 საპურტი მოახსო (სმიტმა და უილიამსმა 6 საჯარიმო გამოიყენეს) და ანგარიში გაათანაბრდა. საფინალო ანგარიში ეისი ლოუმ სირენამდე 25 წამით ადრე დააფიქსირა - 94:93.

ზაზა ფაჩულას წინააღმდეგ ითამაშა "მომავალმა შაკილ ონილმა", დუაიტ კოვარდმა, რომლის შეჩერება ატლანტელ მეფარეებს ძალიან გაუჭირდათ. ჰოვარდმა 30 ქულა ჩააგდო და ბურთი 11-ჯერ მოხსნა.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

დუღუ ლადიანის მემორიალის წინ "ავიამშენის" თავკაცმა ლევან მოსემ-ვილმა აღნიშნა, რომ მის გუნდში ნაკრების ყოფილი კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი ვარჯიშობდა და თუ იგი უცხოეთში არ წავიდოდა, "ავიას" მაისურით მემორიალზე უნდა ეთამაშა. მკითხველს კარგად ემახსოვრება, რომ ვატო დუღუ ლადიანის თასზე "ავიამშენის" მიერ ჩატარებული არც ერთი მატჩის განაცხადში არ იყო. აქედან გამომდინარე, ჩნდება ლოგიკური შეკითხვა - ნაცვლიშვილმა უცხოურ კლუბს ხომ არ მიაშურა? გუშინ, ვატოს სწორედ ამ კითხვით მივმართეთ.

- ზეპარპირობით, საქართველოში ვარ და "ავიამშენში" ვვარჯიშობ...

- პრესკონფერენციაზე ლევან მოსემვილმა თქვა, რომ "ავიამში" უნდა გეთამაშა.

- ბატონი ლევანის გუნდში დროებით ვვარჯიშობ. უცხოეთში წასვლის წინ არ მინდოდა, ინდივიდუალურად შემუშავა, ამიტომ "ავიამშენის" მწვრთნელს დროებით დამატება ვთხოვე. მასაც უარი არ უთქვამს.

- საქართველოდან წასვლა მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი?

- ამ ეტაპზე, ვფიქრობ, მომავალ სეზონში ქართულ გუნდში არ ვითამაშებ. ხვალ-ხვალ სიტუაცია როგორ შეიცვლება, წინასწარ ვერ ვიტყვი.

- კარიერის გაგრძელებას სად აპირებ?

- ამ საკითხზე მენეჯერი მუშაობს და, ვიმედოვნებ, მალე მეც მეცოდინება.

- თუ არ ვცდები, ესპანეთის მეორე ლიგის გუნდი გეპატიჟებოდა.

- მესამე ლიგის კლუბი იყო, საინტერესო წინადადებასაც მთავაზობდა, მაგრამ, გუშინ, საბოლოო უარი ვუთხარი. ამ სეზონის შემდეგ კარიერის დასრულებას ვაპირებ და ნამდვილად არ მინდა, ბოლო სეზონი მესამე ან მეოთხე ლიგაში გავატარო. თუნდაც ეს ესპანეთში იყოს. ასე რომ, ვემზადები და ვიმედოვნებ, სასურველ კლუბს მალე მოვხვებ.

ვაჟა სიმონიშვილი

ინტერვიუ ვახტანგ ნაცვლიშვილთან

არჩევანი ბოლო საზონის წინ



ვახტანგ ნაცვლიშვილი

ხელბურთი

ეროვნული ჩემპიონატი

ამაზული-სა/თელავი 23:43

მამულა: გველესიანი, ბილაშვილი (1), ჩაჩანიძე (4), მ. ქუთათელაძე (5), თეთრუაშვილი (4), კვერნაძე (7), კერესელიძე (2) თელავი: გ. ტორიჯაძე, სამყურაშვილი, გოგალაძე (2), ა. ყიფიანი (27), ქობულაშვილი, ტალახაძე, ბერძენიშვილი (1), გ. კობახიძე (1), ზაალიშვილი (3), ი. ჩიქოვანი (9)

კუთხისი-თბილისი 14:53

კუთხისი: შიშინაშვილი, ნიჭიბაძე (1), გობეჯიშვილი (5), ჯავახაძე (1), ჯანაშია, ადამია, ჩხეიძე (1), დოლაკიძე (2), ტულუში, სიხარულიძე, კიხიია, ნიკურაძე (4), თათვიძე, თუთბერიძე თბილისი: ანდრიაძე, გონჩაროვი (1), ი. ტორიჯაძე (7), ფენტი (2), ფორაქიშვილი (6), ქარდავა (9), ნივინაძე (15), ქირია (5), ლალანიძე, ყავლაშვილი (5), მაისურაძე (1), ი. ქუთათელაძე (2) მსაჯვრი: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

ბოლო ორ წელიწადში უკვე აღარც მახსოვს, მერამდენე შემთხვევაა, როცა "მამულის" თავკაცი რეზო ჭანტურია, სრული განაცხადის მიუხედავად, შვიდ ხელბურთელს ძლივს აგროვებს, რათა მეტოქეს კაცნაკლულად არ ეთამაშოს. აი გუშინ კი პირველად მოხდა, რომ ორი მეკარიდან ვერცერთი ვერ მოვიდა სტუ-თელავის წინააღმდეგ სათამაშოდ და გუნდის კარს მოედნის მოთამაშე გველესიანი იცავდა. სათადარიგოთ სკამზე კი ჭანტურიას გარდა, არავინ იჯდა. ისე, შარშან ანალოგიური რამ შემთხვევა სტუ-თელავსაც, როდესაც იმ დროისთვის გუნდის ერთადერთმა მეკარე ვაგა სამყურაშვილმა ხელი დაიშავა და კარს მოედნის მოთამაშე იცავდა...

გუშინ, მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩატარა სტუელმა ამირან ყიფიანმა, რომელმაც ორი გოლით გააუმჯობესა მის მიერვე დამყარებული მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდი. პირველ წრეში, ამირანმა 25 გოლი გაუტანა "ქუთაისს",

ამირანმა აიწყვიტა!

ხოლო გუშინ ერთბაშად 27-ჯერ აილო მეტოქის კარი. ოთხ მატჩში გატანილი 67 გოლით, ყიფიანი ერთპიროვნულად ლიდერობს ბომბარდირთა დავას, მეორეადგილოსან გიორგი ნივინაძეს საგრძნობლად უსწრებს და თუ ასე გააგრძელა, ალბათ ჩამოარბივებს კიდევ ნივინაძეს შარშან მოპოვებული პირველი ბომბარდირის ტიტულს.

უშუალოდ მატჩზე კი ბევრი არაფერია სათქმელი. ტრავმის შემდეგ მოედანს ახლად დაბრუნებულმა ირაკლი ჩიქოვანმა საწყის წუთებზე 4:1 დაანინაურა თანაგუნდელები და აქედან დაიწყო "მამულის" რბევა. მერე კი ყიფიანი ამოქმედდა, რომელიც პირველ ტაიმში 7 გოლს დასჯერდა, მეორეში კი თითქმის სამი ამდენი გაიტანა. ალსანიშნავია, რომ სტუ-თელავის 43 გოლიდან, 36 (!) მოდის ყიფიანსა და ჩიქოვანზე...

მეორე შეხვედრაც თითქმის ისევე წარიმართა, როგორც პირველი. გამოკვეთილმა აუტსაიდერმა "ქუთაისმა", მიმდინარე ჩემპიონატში ყველაზე სუსტი თამაში აჩვენა და 39-ბურთიანი სხვაობით დამარცხდა. "თბილისმა" საწყისი 11-წუთიანი მონაკვეთი 8:0 მოუგო მეტოქეს, პირველი ტაიმის შემდეგ კი ტაბლოზე 24:4 ენთო.

ყველაზე გამოცდილია და ამდენი ხნის უთამაშებლობის მიუხედავად, გუშინ, არც ისე ურიგო შთაბეჭდილება დაუტოვებია. გულშემატკივარს ყველაზე მეტად სწორედ მისი ხელუკულმა დარტყმული ბურთები ახალისებდა, საიდანაც რამდენიმე კი ააცილა, მაგრამ ხუთჯერ მაინც შეაგდო ეფექტური გოლი.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ პირველ ტაიმში, გოლი გაიტანა "თბილისის" გოლიკერმა გონჩაროვმა, რომელმაც საკუთარი კარიდან უნა მიზანს. თუმცა, უკანასკნელ ნაშზე "ხურდაც" მიიღო, როცა "ქუთაისმა" პენალტი მოინდირა და მისი რეალიზება გონჩაროვის კოლდა ნიჭიბაძემ ითავა.

ალსანიშნავია, რომ "თბილისის" თავკაცი მამუკა მუჟანაძე მთელი მატჩის განმავლობაში ტრიბუნაზე იჯდა, გუნდის დამოძღვრა კი ლევან გელაშვილს მიახლო. სათადარიგოთა სკამზე იჯდა ტიტე კალანდაძე, რომელიც ტრავმას იმუშებს და მოახლოებული სანაკრებო ბატალიების წინ, ფორმიდან რომ არ ამოვარდეს, "თბილისთან" ერთად ვარჯიშობს.

სტუ-თელავი 4 4 0 0 +87 8
თბილისი 4 3 0 1 +83 6
ამაზული 4 1 0 3 -63 2
ქუთაისი 4 0 0 4 -107 0

პრეზიდენტი: ამირან ყიფიანი (სტუ-თელავი - 67), გიორგი ნივინაძე (თბილისი - 39), ვანო ქარდავა (თბილისი - 35).

სტუ-ქუთაისი 13:00 (საკ)
თბილისი-ამაზული 14:30 (საკ)



მაიამელთა ვარჯიში

NBA. მაიამი ჰიტსი

შაკის ფანები, ზოს გული და ღუაინ უილი

ფლორიდაში შარშანდელი სირცხვილის ჩამორცხვას ელიან. როგორია, ფიასკოს შემდეგ, ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონის მთავარი მწვრთნელი რომ იტყვის - მაძლარები და არამბიციურები ვიყავით და რამდენიც არ ვცვადეთ, მთელი რეგულარულისა და პლეიოფის განმავლობაში მკვლელის ინსტინქტი ვერ აღვიდგინეთ?! შოდა, ეს ინსტინქტიცა და კიდევ ბევრი სხვა რამ, "მაიამი ჰიტმა" წლეულს სწრაფადვე უნდა დაიბრუნოს, თორემ ჩემპიონობას ვინლა დაეძებ, იქნებ შტატის საუკეთესო გუნდის კი ვერ გახდეს. აგერ, "ორლანდო მეჯიკა" რამდენიმე დღის განმავლობაში და დუაიტ ჰოვარდსაც ისეთი სეზონი უნდა ჰქონდეს, კალატორთის მიყვარულებს, ეგრევე ახალგაზრდა შაკილ ონილსა და დევიდ რობინსონს რომ გაასხენებს.

ვეტერანებისთვის გამოუცდელთა დიდი ნაკადის შეზავებით, რაილი, პირველ რიგში, ამ ბეჭერი მეომრებისთვის საპლეიოფო მოტივაციის დაბრუნებას ეცდება.

როგორ კონდიციებში შეხვდება იგი რეგულარულის სტარტს. არ არის გამოცდილი, მისი სათამაშო დრო ოპორტუნისტისა და საჭიროების შემხედვარემ გადავანანილო, - ესეც რაილის სიტყვებია. იმასაც შეგახსენებთ, რომ ონილი თავის კარიერაში, პლეიოფის პირველ წრეში შარშან მხოლოდ მეორედ გავარდა. პირველად, ეს შორეულ 1994-ში მოხდა. მაშინ შაკი და ახალგაზრდა ანფერნი შარდუევი (რომელიც დღესაც მისი თანაგუნდელია, თუმცა ვარჯიშებზე ჯერ ძალიან სუსტად გამოიყურება) "ორლანდო მეჯიკის" შემადგენლობაში იყვნენ.

Table with 2 columns: Time and Event (10 რეგულარული ოთხშაბათი, HTB-პაუსი (შახაპაუსი), 12:00 თაიისუფალი დარტყმა...)

Table with 2 columns: Time and Event (SPORT 1 (შაკიანა), 08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი...)

Table with 2 columns: Event and Score (შახაპაუსი, ინგლისი, კონფედერაციები...)

Table with 2 columns: Event and Score (LEAGUE TROPHY, მოკლემარცხენე-პარკი...)

Table with 2 columns: Event and Score (შეჯილდოება III დივიზიონი, ალკონი-ფიკა...)

Table with 2 columns: Time and Event (02:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი...)

Table with 2 columns: Time and Event (EUROSPORT, 10:30 ექსტრემალური სპორტი...)

Table with 2 columns: Time and Event (EUROSPORT-2, 09:30 ახალი ამბები...)

Table with 2 columns: Event and Score (შახაპაუსი, ზაქარია-მარა, კონფედერაციები...)

